საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არაგვის საერისთავო

არაგვის საერისთავო, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში, რ-საც მართავდა მეფის მიერ დანიშნული მოხელე-ერისთავი (ზოგი წყაროთი – ერისთავთ-ერისთავი). მდებარეობდა არაგვის ხეობასა და მდ. თერგის სათავეებში (*ხევი*, *თრუსო*, *ხადა*, გარეშემო, მრევლი, *ცხავატი*, *გუდამაყარი*, *ხანდო*, *ჭართალი* და ე. წ. არაგვის ბარის ზოლი ანანურს ქვემოთ სოფ. მისაქციელამდე). მოსახლეობა – დაახლ. 3300 კომლი (1770). ჩვენთვის ცნობილი პირველი ერისთავები არიან *შაბურისძეები* (XIII ს-იდან), რ-ებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ სახელოს. დაახლ. XV ს. შუა წლებიდან ა. ს. ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ იქცა (თუმცა ცენტრ. ხელისუფლება მათ მაინც მოხელედ თვლიდა). XVI ს-ში ვანათელმა აზნაურმა (პატარა ლიახვის ხეობიდან) ქსნის ერისთავთა დახმარებით ამოწყვიტა არაგვის ერისთავები და თვითონ დაეპატრონა საერისთავოს. ამიერიდან ერისთავი მათ გვარად იქცა. ერისთავთა რეზიდენცია იყო დუშეთი და სიონი, მთავარი ციხე – *ანანური*, საძვალე და საგვარეულო მონასტერი – ბოდორნა.

ა. ს-ს სოც. სტრუქტურა XV ს-მდე ასეთი იყო: დიდებული, აზნაური, ჰეროვანი, მსახური, გლეხი, XV ს-იდან (ე. ი. სათავადოთა წარმოშობის დროიდან) კი – თავადი, აზნაური, მსახური, მებეგრე გლეხი. XV ს-მდე ერისთავს ქვეყნის მართვაში ცენტრ. ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები – განმგებელი, ხევისთავი, ხევისბერი, ციხისთავი, მამასახლისი და სხვ. – ეხმარებოდნენ, შემდეგ კი – მისი საკუთარი მოხელეები: სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი და სხვ.

ა. ს-ს ბარის ზოლში („მისაქციელიდან ანანურამდე“) სოფ. მეურნ. დარგებიდან წამყვანი იყო მარცვლეული კულტურები და მებაღეობა-მევენახეობა. მთის ზოლში (ანანურიდან დარიალამდე) კი –– მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა (უდუმო, კუდიანი ცხვარი). შინამრეწვ. დარგებიდან განვითარებული იყო ყველის დამზადება, შალის ქსოვა, ქეჩის, ტყაპუჭის დამზადება და სხვ. ვაჭრობა-მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები იყო დუშეთი, ანანური, ჟინვალი. ა. ს-ზე გადიოდა საქართველოს ჩრდილოეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა (გვიანდ. *საქართველოს სამხედრო გზა*).

ა. ს. საქართვ პოლიტ. ცხოვრებაში მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ს-ში, როცა ნუგზარ, ზურაბ და ზაალ ერისთავები თავგამოდებით იბრძოდნენ, ერთი მხრით, სრული პოლიტ. დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და, მეორე მხრით, ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის დასაპყრობად და დასაბეგრავად. ჯერ ზურაბმა (XVII ს. 20-იანი წწ.) და შემდეგ ზაალმა (50-იანი წწ.) დროებით დაიპყრეს კიდეც ერწო-თიანეთი. ამ ბრძოლებმა უდიდესი მსხვერპლი შეიწირა ორივე მხრიდან, მაგრამ საბოლოოდ, ერისთავებმა მაინც ვერ აიხდინეს საწადელი. *ზაალ არაგვის ერისთავი* 1660 ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1739 *შანშე ქსნის ერისთავი*, პირადი მტრობის გამო, ლეკთა ჯარის დახმარებით თავს დაესხა ანანურის ციხესიმაგრეს, ბრძოლით აიღო იგი და *ბარძიმ არაგვის ერისთავი* და მისი ზოგი სახლიკაცი ცოლშვილიანად ამოწყვიტა. 1743 აჯანყებულმა არაგველებმა მოკლეს *ბეჟან არაგვის ერისთავი* (იხ. *არაგვის საერისთავოს გლეხთა აჯანყება 1742–46*) და ა. ს. კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს გადასცეს. მან ა. ს. სამეფო მამულად გამოაცხადა და ერეკლე II-ის ვაჟს, ვახტანგ ბატონიშვილს, საუფლისწულოდ მისცა. მისი სახელით ა. ს-ს ჯიმშერ *ჩოლოყაშვილი* განაგებდა. გადარჩენილი ერისთავისშვილები ცოტა უფრო გვიან ერეკლე II-მ კახეთში გადაასახლა და იქ მისცა მცირე მამული. ვატანგ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1756) ა. ს. *ლევან ბატონიშვილის*, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (1781) *ვახტანგ* (*ალმას-ხან*) ბატონიშვილს საუფლისწულო იყო, რ-იც ა. ს-ს განაგებდა 1803-მდე. ამ წელს ის რუსეთში გადაასახლეს, ა. ს. კი ანანურის მაზრის უფროსს დაექვემდებარა.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. ჯამბურია